

## ღორის გრიპი - განახლება 4

2009 წლის 28 აპრილი – სიტუაცია ვითარდება სწრაფად. 2009 წლის 28 აპრილის გრინვიჩის დროით 19:15 საათისთვის შვიდმა ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა ღორის გრიპის A (H1N1) ინფექციის შესახებ. აშშ-ს მთავრობამ განაცხადა 64 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ ადამიანებში, ლეტალობის გარეშე. მექსიკამ - 26 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა, მ.შ. 7 გარდაცვალებით.

ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების შესახებ გარდაცვალების გარეშე აცხადებენ შემდეგი ქვეყნები: კანადა (6), ახალი ზელანდია (3), გაერთიანებული სამეფო (2), ისრაელი (2) და ესპანეთი (2).

ინფორმაცია სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ჯანმოს ვებ გვერდზე რეგულარულად.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ თვლის მიზანშეწონილად შეზღუდვის დაწესებას რეგულარულ მგზავრობებზე ან საზღვრების ჩაკეტვას. დაავადებული ადამიანებისთვის მიზანშეწონილია საერთაშორისო მგზავრობების გადადება, ხოლო მათთვის, ვისაც გამოუვლინდებათ სიმპტომები საერთაშორისო მგზავრობისას, მიმართონ სამედიცინო დახმარებას, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობით.

არ არსებობს დაინფიცირების რისკი თერმულად კარგად დამუშავებული ღორის ხორცის და სხვა პროდუქტების მოხმარების შემთხვევაში. პირადი დაცვის მიზნით მიზანშეწონილია ხელების გულმოდგინე, რეგულარული დაბანა საპნით და წყლით, ხოლო გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომების განვითარებისას მიმართვა სამედიცინო დახმარებისთვის.